

ეკა კვირკველია
ჰამბურგის უნივერსიტეტის
ხელნაწერთა კულტურების შემსწავლელი ცენტრი (CSMC), გერმანია
eka.kvirkvelia@uni-hamburg.de

თამარ კალხიტაშვილი
ლინგვისტურ კვლევათა ინსტიტუტი
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

მათეს სახარების ანოტირებული პარალელური ციფრული გამოცემა*

საკვანძო სიტყვები: TEI, ანოტირების პლატფორმა, ქართული ხელნაწერები, ოთხთავი

ოთხთავისა და, ზოგადად, ბიბლიური წიგნების, ქართულად თარგმნა IV-V საუკუნეში უნდა დაწყებულიყო. სახარების შემცველი ხელნაწერებისა და ფრაგმენტების საერთო რაოდენობა 300-ზე მეტია და დაცულია როგორც საქართველოში, ასევე მის ფარგლებს გარეთ. ოთხთავებში წარმოდგენილი ტექსტები სხვადასხვა დროს სხვადასხვა სამწიგნობრო სკოლაში სწორდებოდა ბერძნული, ზოგიერთი კი სომხური ტექსტის გათვალისწინებით (სარჯველაძე 2003, 15-71), ამიტომაც დღემდე მოღწეულ სახარების ხელნაწერებში არაერთგვაროვანი ტექსტებია წარმოდგენილი. საუკუნეზე მეტი კვლევის ისტორიის შედეგად დღეისათვის დადგენილია, რომ ქართული ოთხთავის თარგმნა-რედაქტირება სამ ეტაპთან არის დაკავშირებული: წინათონურ (ადიშური, ოპიზური (იგივე ჯრუჭ-პარხლის) და ნარევი), V-X სს., ათონურ (ე. წ. ექვთიმე ათონელისეული (955-1028) და გიორგი მთაწმინდელის (1009-1065) რეცენზია), X-XI სს., და ელინოფილურთან, XII ს.

* სტატიაში წარმოდგენილია ძირითადი შედეგები შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ ახალგაზრდა მეცნიერთათვის დაფინანსებული პროექტისა „გიორგი მთაწმინდელის რეცენზიის მათეს სახარების ანოტირებული ელექტრონული პარალელური კორპუსული გამოცემა“ (YS-21-1562). პროექტი განხორციელდა 2021-2023 წლებში ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ლინგვისტურ კვლევათა ინსტიტუტის ტექნიკურ ბაზაზე პროფ. ნინო დობოროჯვინიძის მეცნიერობითა და თსუ პროფესორის დარეჯან თვალთვაძის კონსულტაციით. ტექნიკურ ჯგუფს (თემურ ჩიჩუა, ანა გველესიანი და გიორგი კვარაცხელია) ხელმძღვანელობდა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მკვლევარი დოქ. თამარ კალხიტაშვილი.

სახარების ქართული თარგმანის ისტორიის კვლევისას თითო-ეული ხელნაწერის მეცნიერულად შესწავლის აუცილებლობას ჯერ კიდევ 1945 წელს გაუსვა ხაზი ოთხთავის ქართული თარგმანის კვლევის ერთ-ერთმა ფუძემდებელმა აკაკი შანიძემ:

როცა ყველა ძველი ხელნაწერი შესწავლილი იქნება და სათანადოდ გამოცემული იქნება კრიტიკულად დადგენილი ტექსტი, მაშინ ადვილი იქნება მთლიანად გამოირკვეს თარგმანის ისტორია და მისი გზები და ის ხვედრითი წონა, რომელიც აქვს ქართულ ვერსიებს ოთხთავის ტექსტის შემუშავებისა, გავრცელებისა და ფილიაციის საქმეში. (შანიძე 1945, 07)

ოთხთავის ქართული თარგმანის კვლევის ისტორიის განმავლობაში არაერთი ცალკეული ხელნაწერი გამოიცა ბეჭდურად როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ (კვიციანი 2019, 21-26). სამწუხაროდ, ამ ტიპის პუბლიკაციები არ გვიქმნის მკაფიო წარმოდგენას ტექსტის ისტორიის შესახებ. არსებობს სახარების ქართული თარგმანის ელექტრონული გამოცემებიც, მაგალითად, ლუკასა და იოანეს სახარებების წინათონური და ათონური ტექსტის ტიპების აკადემიური გამოცემა ლექციონარების ვარიანტული წაკითხვებით (ქართული ოთხთავი 2013-2020), აგრეთვე, TITUS-ის მონაცემთა ბაზაში არსებული მასალები (TITUS database 2023). თუმცა არცერთი მათგანი არ შეესაბამება თანამედროვე ელექტრონული გამოცემის სტანდარტს, კერძოდ, TEI (Text Encoding Initiative) კონვენციას.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ბერძნული ახალი აღთქმის კვლევის ერთ-ერთ წამყვან ცენტრში, ახალი აღთქმის კვლევის ინსტიტუტში (მიუნსტერი, გერმანია), სახარების აკადემიური გამოცემის მომზადება წინარე გამოცემებისგან (Aland et al. 2013) განსხვავებულ მეთოდოლოგიურ საფუძველზე, ციფრული ტექნოლოგიების გამოყენებით მიმდინარეობს (Wasserman and Gurry 2017).¹ ინსტიტუტმა შექმნა ახალი აღთქმის ხელნაწერთა ვირტუალური

1 მიუნსტერში მომუშავე კვლევითმა ჯგუფმა უარი თქვა სახარების ტექსტების ტრადიციულ ტიპებად (დასავლური, ალექსანდრიული, კესარიული და ბიზანტიური) დაყოფაზე, რაც, უმეტესად, მათ შორის არსებულ ვარიანტულ იკითხვისებს ეფუძნებოდა. ინსტიტუტმა ამოსავლად აიღო ხელნაწერთა შორის პროცენტული მსგავსება, რომელიც მანქანურად დაითვლება (Manuscript Clusters 2011). ვარიანტული იკითხვისებით კი დგინდება ხელნაწერთა ურთიერთმიმართების სტემა სამ ეტაპად: პირველი, ადგილობრივი სტემა (Local stemma) ადგენს წყაროების ურთიერთმიმართებას კონკრეტული ვარიანტული იკითხვისის შემთხვევაში; ქვესტემა (Substemma) ადგენს ერთი კონკრეტული ხელნაწერის სავარაუდო წყაროებს, რომლის საფუძველზეც სხვა ხელნაწერების მონაცემებთან ერთად ავტომატურად გენერირდება გლობალური სტემა (Global Stemma), რომელიც ხელნაწერთა ურთიერთმიმართებას განსაზღვრავს. მთავარი ამოცანა კი პირველადი ტექსტის დადგენაა.

ოთახი (NTVMR 2019), სადაც ახალი აღთქმის წიგნების ციფრული და ბექდური გამოცემის მომზადება ერთდროულად არის შესაძლებელი.²

ბიბლიური წიგნების ციფრული გამოცემების თვალსაზრისით არსებობს სხვა გამოცდილებებიც, მაგალითად, ანოტირებული ბერძნული ახალი აღთქმა ინგლისური თარგმანითურთ (Kata Biblon 2007-2023); სომხური ბიბლიის ანოტირებული ციფრული გამოცემა ასევე ინგლისური თარგმანით (Armenian Bible 2023); და პროგრამა BibleWorks, რომელშიც ხელმისაწვდომია სხვადასხვაენოვანი ბიბლიური წიგნები, ანოტირებული ბერძნული ტექსტის ტიპები, ხელნაწერთა ჩვენებები და ა. შ. (BibleWorks 10, 2015).

ახალი აღთქმის გამოცემის კუთხით დაგროვილმა საერთაშორისო გამოცდილებამ გვიბიძგა, სახარების ქართული თარგმანის ციფრული გამოცემის მომზადება მათეს სახარებით დაგვეწყო. ამ მიზნის მისაღწევად შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული ზემოთ აღნიშნული ორწლიანი პროექტის ფარგლებში მოვამზადეთ ანოტირების პლატფორმა (Annotation tool 2023), სადაც მორფოლოგიურად ანოტირდა და ციფრულად გამოიცა გიორგი მთაწმინდელის რეცენზიის მათეს სახარება ბერძნული, სომხური და ინგლისური პარალელური თარგმანებით.

შექმნილი რესურსი მიზნად ისახავს შესაძლებლობის შექმნას ქართველი და უცხოელი მკვლევრებისათვის მომავალი კვლევების განსახორციელებლად, კერძოდ, მათეს სახარების ქართული თარგმანის მიმართების დასადგენად როგორც ბერძნულ, ასევე სომხურ ტექსტებთან.

ანოტირების პლატფორმა იმგვარად აიგო, რომ საშუალებას იძლევა, სამომავლოდ მსგავსი მოდელით ანოტირდეს და ციფრულად ხელმისაწვდომი გახდეს სხვა ხელნაწერებიდან გადმოწერილი მათეს სახარება, ასევე ახალი და ძველი აღთქმის სხვა წიგნებიც. პლატფორმის შესაძლებლობებს, მისი განვითარების პერსპექტივებსა და ანოტირების პრინციპებს დეტალურად ქვემოთ განვიხილავთ.

2 პლატფორმაზე ატვირთულია ბერძნული ახალი აღთქმის ხელნაწერთა ფოტოები, ხდება მათი გადმოწერა შემუშავებული მეთოდოლოგიით და სტემის განსაზღვრა. Editio Critica Maior (ECM)-ის სერიით უკვე გამოცემულია მარკოზის სახარება (ECM I.2/1, 2021; ECM I.2/2, 2021; ECM I.2/3, 2021) და საქმე მოციქულთა (ECM III/1.1, 2017; ECM III/1.2, 2017; ECM III/2, 2017; ECM III/3, 2017). გამოცემები ასევე ხელმისაწვდომია ელექტრონულად (ECM 2017-21). ამჟამად მუშაობა მათეს სახარების გამოცემაზე მიმდინარეობს.

ციფრული გამოცემის შესახებ

მათეს სახარების ციფრული გამოცემა ეფუძნება იმ თეორიულ კვლევას, რომელიც სადოქტორო ნაშრომის ფარგლებში განხორციელდა (კვირკველია 2019). სწორედ დისერტაციაზე მუშაობისას მიღებული დასკვნების საფუძველზე ანოტირებისთვის შევარჩიეთ გიორგი მთაწმინდელის რეცენზიის შემცველი Ivir. georg. 62-ში დაცული ტექსტი (Gippert, Outtier and Kim 2022, 555-558).

გიორგი მთაწმინდელის რეცენზია XI საუკუნის 50-იან წლებში შეიქმნა უკვე არსებული ქართული თარგმანების ჰარმონიზაციისა და ბიზანტიური ტიპის ბერძნულ ტექსტთან სამგზის შეჯერების შედეგად (კვირკველია 2019, 109-115, 126-162). იგი ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის მიერ კანონიკურად არის აღიარებული და დაცულია დღემდე მოღწეულ ოთხთავის ხელნაწერთა უმეტესობაში, დაახლოებით 200-მდე ნუსხაში.

Ivir. georg. 62 სწორედ იმ პერიოდში უნდა იყოს გადაწერილი, როდესაც გიორგი მთაწმინდელი სახარების ტექსტზე მუშაობდა და ამ მხრივ ყველაზე სანდო წყაროს წარმოადგენს. ამის დასტური გახლავთ ისიც, რომ ხელნაწერში აშკარად ჩანს რედაქტირების კვალი. გასწორებული ტექსტი გიორგი მთაწმინდელის რეცენზიის საბოლოო ვერსიას შეიცავს, ხოლო ნასწორები ტექსტი კი მისი მუშაობის შუალედურ ეტაპს ასახავს (კვირკველია 2019, 116-178).

მათეს სახარების ანოტირებისთვის პარალელურ ბერძნულ დედნად ავიღეთ ბიზანტიური ტექსტის ტიპი, რადგან, როგორც აღინიშნა, გიორგი მთაწმინდელის რეცენზია სწორედ ამ ტექსტის ტიპის მიხედვით არის გასწორებული. ტექსტი CSV ფორმატში ხელმისაწვდომია დოქ. მორის ა. რობინსონის ოფიციალურ GitHub-ზე (The New Testament in the original Greek: Byzantine text type 2023; Robinson and Pierpont 2005). რაც შეეხება სომხურ ვერსიას, გამოვიყენეთ ე. წ. ზოჰრაბის ბიბლიის გადამუშავებული, 1895 წლის კონსტანტინოპოლური პუბლიკაციის ანოტირებული ელექტრონული გამოცემა³ (Armenian Bible 2023). ინგლისური თარგმანი კი ძირითადად მოვიტანეთ KJV (King James Version) (The King James Version of the Bible 2022) და NAS (New American Standard) (Foundation Publications and Lockman Foundation (La Habra Calif) 2020) ვერსიებიდან.

ანოტირების პლატფორმა

ქართული ხელნაწერების საერთაშორისო სტანდარტის, ტექსტის კოდირების ინიციატივის (TEI) მიხედვით ციფრული დოკუმენტირება და ციფრული სამეცნიერო გამოცემა ჯერ კიდევ გამოწვევას წარმო-

3 ე.წ. ზოჰრაბის ბიბლიის შესახებ იხ. Cox 1994.

ადგენს ციფრული ქართველოლოგიისათვის. მათეს სახარების ანოტირებულ პარალელურ ციფრულ გამოცემაზე მომუშავე ტექნიკურ ჯგუფს წინ ჰქონდა მაგალითი ქართულ ხელნაწერთა XML ფორმატში აღწერისა (Lobzhanidze 2022), ასევე, პროფესორ ირინა ლობჯანიძის მიერ TEI-ს მიხედვით შესრულებული უორდროპების კოლექციის ციფრული გამოცემა (Wardrops' Collection Online) (WCO 2019-2020) eXist-db-ის გამოყენებით (The Open Source Native XML Database 2018).

eXist-db ე. წ. NoSQL მონაცემთა ბაზას წარმოადგენს და მისი საშუალებით TEI-ის მიხედვით ანოტირებული ხელნაწერების XML-თა გამოსაცემად საჭირო არ არის XML სქემის შექმნა. თუმცა პროექტის სპეციფიკიდან გამომდინარე, რომელიც მათეს სახარების თითოეული სიტყვის მორფოლოგიურ ანოტირებას გულისხმობდა, მკვლევართათვის შრომატევადი პროცესის გასამარტივებლად გადაწყვიტეთ, შეგვექმნა პლატფორმა, რომელიც, ანოტირების გარდა, მყისიერი რედაქტირებისა და ტექსტის ციფრულად გამოქვეყნების საშუალებას იძლევა.

მკვლევარს სამართავი პანელის დახმარებით შეუძლია ატვირთოს ანოტირებისთვის წინასწარ მომზადებული ტექსტი მისთვის მოსახერხებელ ფორმატში, შესაბამის ველებში შეიტანოს ხელნაწერის აღწერილობა და შეუდგეს ანოტირებას. ხელნაწერის აღწერილობის შესახებ ტექსტურ რედაქტორში შეტანილი ინფორმაციისაგან ავტომატურად გენერირდება ხელნაწერის TEI header:

```
<teiHeader>
<fileDesc>
<titleStmt>
  <title xml:lang="ka">მათეს სახარება</title>
  <title xml:lang="en">The Gospel of Matthew</title>
    <author xml:lang="ka">გიორგი მთაწმინდელი</author>
    <author xml:lang="en">George the Athonite</author>
    <editor xml:lang="ka">ეკა კვირკველია</editor>
    <editor xml:lang="en">Eka Kvirkvelia</editor>
</titleStmt>
<editionStmt>
<edition n="1">
<date>30 May, 2023</date>
</edition>
<funder>“Digital edition of an annotated parallel corpus of George the Athonite’s recension of the Gospel of Matthew” funded by <ref target="http://rustaveli.org.ge/">Shota Rustaveli National Science Foundation (YS-21-1562)</ref></funder>
</editionStmt>
```

```
<publicationStmt>
<publisher>Ilia State University</publisher>
<date>2023-05-30</date>
<pubPlace>
<address>
<addrLine>Institute of Linguistic Studies</addrLine>
<addrLine>Ilia State University</addrLine>
<street>Kakutsa Cholokashvili Ave 3/5</street>
<settlement>Tbilisi</settlement>
<postCode>0162</postCode>
<addrLine>
<ref target="https://research.iliauni.edu.ge/en/institution/19-lingvistur-
kvlevata-instituti">Institute of Linguistic Studies, Ilia State University</ref>
</addrLine>
<addrLine>
<email>info@iliauni.edu.ge</email>
</addrLine>
</address>
</pubPlace>
  <availability>
    <p>Available according to the terms of the <ref target="https://
creativecommons.org/licenses/by-nc-sa/3.0/">Attribution-
NonCommercial-ShareAlike 3.0 Unported (CC BY-NC-SA 3.0) </ref>.</p>
  </availability>
</publicationStmt>
  <sourceDesc>
<p xml:lang="ka">Ivir. georg. 62 დაცულია ათონის ივერთა მონასტერში</p>
<p xml:lang="en">Ivir. georg. 62 is kept in the Monastery of Iviron on Mount Athos</p>
  </sourceDesc>
</fileDesc>
<encodingDesc>
<projectDesc>
  <p>Annotated on platform http://ogb.iliauni.edu.ge</p>
</projectDesc>
  <variantEncoding method="parallel-segmentation"
location="internal"/>
</encodingDesc>
</teiHeader>
```

ხელნაწერის აღწერილობის ბაზაში შენახვის შემდეგ შესაძლებელია მორფოლოგიური ანოტირების დაწყება. თითოეულ სიტყვაზე „დაკლიკებისას“ მკვლევარს ანოტირების ფანჯარაში შეჰყავს ახალი მონაცემები. ხოლო იმ შემთხვევაში, თუკი კონკრეტული სიტყვა-ფო-

რმა უკვე ანოტირებულია, „შევსების“ ლილაკზე დაჭერის შემთხვევაში ჩნდება მონაცემთა ბაზაში უკვე არსებული ჩანაწერი (სისტემა ყველაზე ხშირად გამოყენებულ შემთხვევას გვთავაზობს). შესაძლებელია, რომ შემოთავაზებული ფორმა ომონიმური იყოს, ამიტომ მკვლევარს კონკრეტული კონტექსტიდან გამომდინარე მაინც სჭირდება მისი გაანალიზება (სურათი 1).

Word	წიგნი
Lemma	წიგნ
Gram	N.Nom.Sg
Grc	βιβλιος
Arm	Գիրք
Eng	book

შევსება
გასუფთავება
განახლება

სურათი 1: ჩანაწერი ერთი სიტყვა-ფორმისთვის

„განახლების“ ლილაკზე დაჭერის შემდეგ ცვლილებები ავტომატურად აისახება მონაცემთა ბაზაში. კონკრეტულ სიტყვაზე კურსორის გადატარებისას კი ჩანს მისი ანოტაცია (სურათი 2).



სურათი 2: ანოტირებული სიტყვა-ფორმა კურსორის გატარებისას

გარდა ამისა, პლატფორმა საშუალებას აძლევს მომხმარებელს, ჩამოტვირთოს ანოტირებული ტექსტი XML ფორმატში. ასე გამოიყურება მათეს სახარების ანოტირებული ერთი არასრული მუხლი:

```

</teiHeader>
<text>
<body>
  <div type="edition" xml:space="preserve">
    <div type="chapter" xml:id="cha.1">
      <l n="cha.1.1">
<seg xml:lang="ka">წიგნი შობისა იესუ ქრისტესი, ძისა დავითისი,
ძისა აბრაჰამისი.</seg>
<seg xml:lang="grc">Βίβλος γενέσεως Ἰησοῦ χριστοῦ, υἱοῦ Δαυίδ, υἱοῦ
Ἀβραάμ.</seg>
</l>
      <entry xml:id="w.0.cha.1.1">
        <form type="lemma">წიგნ
<lbl xml:lang="grc">βίβλος</lbl>
        <lbl xml:lang="arm">Գիրք</lbl>
        <lbl xml:lang="en">book</lbl></form>
<gramGrp><gram type="pos">N.Nom.Sg</gram></gramGrp></entry>
      <entry xml:id="w.1.cha.1.1">
        <form type="lemma">შობა
<lbl xml:lang="grc">γενέσεως</lbl>

```



```
<lbl xml:lang="arm">ბնդს</lbl>
<lbl xml:lang="en">birth</lbl></form>
<gramGrp><gram type="pos">N.Gen.Sg</gram></gramGrp></entry>
```

როგორც XML ჩანაწერიდან ჩანს, მუხლის დონეზე წარმოდგენილია პარალელური ბერძნული თარგმანი, მორფოლოგიურ ანოტაციას კი ახლავს თითოეული სიტყვის სომხური და ინგლისური შესატყვისი.

Ivir. georg. 62 ხელნაწერის ფოტოდოკუმენტირებისათვის გამოვიყენეთ International Image Interoperability Framework (IIIF) მანიფესტების პრინციპი (IIIF 2023)⁴. ბმული დართული აქვს ხელნაწერის აღწერილობას⁵ და მისი დათვალიერება (The Gospel Manuscript. Ivir. georg. 62, 2023) შესაძლებელია IIIF გამოსახულებებისა და აღწერილობების დათვალიერების ხელსაწყო საშუალებით (Mirador 2023).

ამრიგად, პლატფორმის ფუნქციებია: ა. ხელნაწერის გარეანოტირება TEI-ს წესებით; ბ. ტექსტის მორფოლოგიური ანოტირება; გ. ანოტირებული ტექსტის მყისიერი რედაქტირება და გამოქვეყნება. ამას გარდა, პლატფორმას ვიყენებთ XML საცავად. ერთი წესით ანოტირებული ხელნაწერების საკმაო რაოდენობის აკუმულირების შემდეგ კი სამომავლოდ უნდა შეიქმნას TEI სქემა ქართული ხელნაწერებისათვის და შეირჩეს TEI XML დოკუმენტების ციფრული გამოცემის ხელსაწყო.

აღსანიშნავია, რომ ციფრული ჰუმანიტარიის პროექტების მდგრადობა გამოწვევას წარმოადგენს ტექნოლოგიების სწრაფი განახლების პირობებში. ამდენად, ჩვენი მიდგომა, ერთი მხრივ, ხელმისაწვდომი გავხადოთ ტექსტები ონლაინ, მეორე მხრივ, შევინახოთ ისინი სტანდარტიზებულ ფორმატში მათი ხელახალი გადამუშავებისა და გამოყენებისათვის, ამ ეტაპზე საუკეთესო გამოსავლად გვესახება.

მორფოლოგიური ანოტირება

მათეს სახარების მორფოლოგიური ანოტირების პრინციპები ეფუძნება ძველ ქართულ ენაში იმ თეორიულ ცოდნას, რომელიც ბოლო ათეული წლების განმავლობაში დაგროვდა. ასევე, გათვალისწინებულია ქართული ენის კორპუსებისათვის შექმნილი მორფო-

4 International Image Interoperability Framework (IIIF) არის კულტურის ინსტიტუციებს შორის მაღალი ხარისხის გამოსახულებების საავტორო უფლებების დაცვით მიმოცვლის სისტემა.

5 ათონის ივერთა მონასტრის ბიბლიოთეკისგან წერილობითი ნებართვა მივიღეთ მხოლოდ რამდენიმე ფოტოს გამოქვეყნებაზე (9r-10r), რისთვისაც მადლობას ვუხდით ბერ თეოლოგოსს. ხოლო დანარჩენი გვერდებისთვის (10v-91v) გამოვიყენეთ კონგრესის ბიბლიოთეკის ვებგვერდზე იმავე პრინციპით გამოქვეყნებული ძველი შავ-თეთრი ფოტოები (Library of Congress. Ivir. georg. 62).

ლოგიური ანალიზატორების შემუშავების პრინციპები⁶ (ქართული ენის კორპუსი 2009-2016; ქექე 2011-2023).

უნდა აღინიშნოს, რომ ძველი ქართული ენის ანოტირების გამოცდილება კომპიუტერული დამუშავების პრინციპით ჯერ არ არსებობს. ქართული ენის ეროვნული კორპუსისთვის (ქექე 2011-2023) შექმნილი ანალიზატორი ხშირად ვერ ცნობს ძველი ქართულისთვის დამახასიათებელ კონკრეტულ ფორმებს ან არაზუსტად აანალიზებს მათ. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ლინგვისტურ კვლევათა ინსტიტუტის მიერ შემუშავებული ქართული ენის კორპუსი კი (ქართული ენის კორპუსი 2009-2016) ამჟამად მხოლოდ ახალ ქართულ ენას არის მორგებული.⁷

რაც შეეხება მათეს სახარებას, ის მთლიანად ხელით ანოტირდა, ყველა სიტყვა-ფორმა სრულყოფილად გაანალიზდა და არცერთი მათგანი არ დარჩენილა მორფოლოგიური ანოტირების გარეშე. ანოტირებისას აისახა ის თავისებურებები, რომლებიც ძველ ქართულ ენას ახლისგან განასხვავებს. მაგალითად, სათანადოდ არის აღნიშნული ორმაგი და სამმაგი ბრუნების ნიმუშები, არტიკლის ფუნქციით გამოყენებული ნაცვალსახელები, აღწერითი ფორმით გამოხატული მომავლისა და აღწერითი ვნებითის ფორმები და სხვა.

თითოეული სიტყვა-ფორმისთვის მითითებულია ამოსავალი ფორმა – ლემა. არსებითი, ზედსართავი და რიცხვითი სახელისთვის ეს არის წრფელობითი ბრუნვის ფორმა. ეს ეხება როგორც ორმაგი ან სამმაგი ბრუნების ნიმუშებს (<word index=»6» content=»უფლისაჲ«

6 მორფოლოგიური ანოტირების პრინციპების შემუშავებასა და უშუალოდ მათეს სახარების ანოტირების პროცესში ჩართული იყო თსუ-ს შუა საუკუნეების ქრისტიანული აღმოსავლეთის ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებული, კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის თანამშრომელი ნინო გიორგაძე.

7 გამოწვევების დიდი წილი, რომელთა წინაშეც ანალიზატორები ძველი ქართული ენის შემთხვევაში ახალ ქართულთან შედარებით დგას, ზმნაზე მოდის. ძველ ქართულში ზმნის უღლების სისტემა მოიცავს ისეთ მწკრივებს, რომლებიც განგრძობით მოქმედებას გამოხატავს, კერძოდ, აწმყოს ხოლმეობითს (წერ-ნ), უწყვეტლის ხოლმეობითს (წერ-დ-ი-ს), მეორე (წერ-ი-ს) და მესამე (ე-წერ-ი-ს) ხოლმეობითებს. ისინი ახალ ქართულში აღარ არსებობს. გარდა ამისა, ახალ ქართულს აკლია ბრძანებითის ორი მწკრივი, რომლებიც არსებობდა ძველ ქართულში, კერძოდ, პირველი (წერ-დ-ი-ნ) და მეორე (წერ-ე-ნ) ბრძანებითი. ძველ ქართულში I თურმეობითის წარმოება განსხვავდება ახალი ქართულისგან (შდრ. უ-წერ-ი-ე-ს / უ-წერ-ი-ა), ხოლო ვნებითი გვარის ზმნებს აწმყოში მე-3 სუბიექტური პირის ნიშნად მოუღიოთ -ს სუფიქსი, ახალ ქართულში კი -ა (შდრ. ე-ვედრ-ე-ბ-ი-ს / ე-ვედრ-ე-ბ-ა). ასევე, განსხვავებულია იუღლება ძველ ქართულში -ავ და -ამ თემისნიშნის ზმნები; მომავალი დრო გადმოიცემა კავშირებითის მწკრივებით და ა. შ. ეს არის ძირითადი, მაგრამ არასრული ჩამონათვალი ზმნის უღლებისას ძველსა და ახალ ქართულს შორის არსებული განსხვავებებისა, რომლებიც დაბრკოლებას ქმნის ახალი ქართული ენისათვის შექმნილი ანალიზატორებისათვის ძველი ქართული ენის ფორმების ანოტირებისას.

lemma=»უფალ« gram=»N.DNom.Sg« grc=»κύριον« arm=»Տեսուն« eng=»Lord« />), ასევე უფრობით და ოდნაობით ზედსართავ სახელებს (<word index=»1« content=»უდიდესი« lemma=»დიდ« gram=»ADJ.Sup.Nom.Sg« grc=»μεῖζων« arm=»մსն« eng=»great« />). ჩვენი მიზანია, რომ შემდგომში ერთი კონკრეტული ძირით ძიების დროს ტექსტებში მოიძებნოს ყველა არსებული ფორმა. ნაცვალსახელებისათვის, მათი ბრუნების თავისებურებიდან გამომდინარე, ლემად მითითებულია სახელობითი ბრუნვის ფორმა. კუთვნილებითი ნაცვალსახელის შემთხვევაშიც ვუთითებთ კუთვნილებითი ნაცვალსახელის სახელობითი ბრუნვის ფორმას და არა ჩვენებითისას, რომლის ნათესაობითი ბრუნვის ფორმისგანაც წარმოდგება კუთვნილებითი (<word index=»9« content=»მისი« lemma=»მისი« gram=»PRON.Poss.Nom.Sg« grc=»αὐτοῦ« arm=»նրա« eng=»his, her, its« />).

არსებითი სახელი გარჩეულია შემდეგი კატეგორიების მიხედვით: ბრუნვა და რიცხვი. შესაბამისად არის აღნიშნული ანთროპონიმები და ტოპონიმები (<word index=»21« content=»აბრაჰამისა.« lemma=»აბრაჰამ« gram=»N.Personal Name.Gen.Sg« grc=»τῷ Ἀβραάμ« arm=»Աբրահամու« eng=»Abraham« />). ზედსართავი სახელის შემთხვევაში ემატება ხარისხის ფორმა (<word index=»11« content=»უძლიერეს« lemma=»ძლიერ« gram=»ADJ.Sup.Abs.Sg« grc=»ἰσχυρότερός « arm=»հզորագոյն« eng=»strong« />), ხოლო რიცხვითი სახელის შემთხვევაში დაკონკრეტებულია, რაოდენობითა, რიგობითი, წილობითი თუ განუსაზღვრელობითი (<word index=»2« content=»ორმეოცი« lemma=»ორმეოც« gram=»NUM.Card.Nom.Sg« grc=»τεσσαράκοντα« arm=»գըսուսսուն« eng=»forty« />). ნაცვალსახელებთან, ბრუნვისა და რიცხვის გარდა, მითითებულია კატეგორიაც (პირის, ჩვენებითი, კუთვნილებითი, კითხვითი, კითხვით-კუთვნილებითი, მიმართებითი, განსაზღვრებითი, განუსაზღვრელობითი, უარყოფითი, ურთიერთობითი (უკუქცევითი) (<word index=»13« content=»ყოვლითა« lemma=»ყოველ« gram=»PRON.Def.Instr.Sg« grc=»ἐπι παντ« arm=»սմնսայն« eng=»all« />).

ზმნებისათვის ლემად გატანილია მესამე პირის მხოლობითი რიცხვის აწმყოს ფორმა სუბიექტური წყობით, როგორც სუბიექტური, ასევე ობიექტური წყობის შემთხვევაში.⁸ სამეცნიერო ლიტერატურაში ქართული ზმნის ლემატიზაციის პრინციპებისადმი არაერთგვაროვანი მიდგომა არსებობს. ლექსიკონებისა⁹ თუ ქართული ენის კორპუსების შემქმნელები (ლობჯანიძე 2021, 61-65; Lobzhanidze 2019,

8 სრულფასოვანი საძიებო სისტემის შექმნის შემდეგ ზმნის ლემით ძიების შემთხვევაში შესაძლებელი გახდება ზმნის ყველა შესაძლო ფორმის ნახვა.

10 ქართული ლექსიკონების შედგენის პრინციპების შესახებ იხილეთ: Gippert 2016, 16-37; ლობჯანიძე 2021, 62-64.

192-194; Gippert 2016, 32), თავიანთი მიზნებიდან გამომდინარე, სხვადასხვა პრინციპს მიჰყვებიან. მათეს სახარების ანოტირებისას ავიღეთ ის პრინციპი, რომელსაც ეფუძნება ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაზაზე შექმნილი ქართული ენის კორპუსი (Corpora Iliani 2009-2016), არნოლდ ჩიქობავა – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის (ჩიქობავა 1950-1964), ხოლო დამანა მელიქიშვილი – ზმნური ფორმების ინდექსის შედგენისას (მელიქიშვილი 2001, 271-346).

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ზოგიერთი ზმნის შემთხვევაში მისი მესამე პირის მხოლოდითი რიცხვის აწმყოს ფორმა ძველი ქართული ენის არცერთ მონაცემთა ბაზაში არ დადასტურდა. ამიტომ აწმყოს ფორმა ხელოვნურად ვაწარმოვეთ (მაგალითად, ითხველიდეს / *ითხველების, დაიმარილოს / *დაიმარილების და ა.შ.) და ანოტირებისას ვარსკვლავით (*) აღვნიშნეთ.

ზმნა გარჩეულია შემდეგი კატეგორიების მიხედვით: მწკრივი, კილო, პირი, რიცხვი. გამოყოფილია ზმნისწინებიც (მარტივი: მი-, მო-, აღ-, და-, გან-, შე-, წარ-, გარდა-, შთა-, უკუ/უკუნ- წიაღ-; რთული: მიმო-, მიმოდა-, აღმო-, დამო-, გამო-, შემო-, წარმო-, გარდამო-, შთამო-, უკუმო-, წიაღმო-).¹¹ ანოტირებისას ყოველთვის აღვნიშნავთ სუბიექტის პირსა და რიცხვს (S1 (Sg/Pl), S2 (Sg/Pl), S3 (Sg/Pl)). რაც შეეხება ობიექტს / ობიექტებს (O1 (Sg/Pl), O2 (Sg/Pl), O3 (Sg/Pl)), აღნიშვნის პრინციპად ავიღეთ მორფოლოგია, ანუ ანოტირებისას ობიექტს აღვნიშნავთ იმ შემთხვევაში, თუკი ზმნაში წარმოდგენილია მისი მარკერი: ა) პირის ნიშანი (<word index="9" content="ჰმსახურებდეს" lemma="ჰმსახურებს" gram="V.Imperf.Ind.S3.Pl.O3.Sg" grc="δουκόνου" arm="սպաշտիւի" eng="to serve, worship" />), ბ) რიცხვის ნიშანი (სახელობითში მდგარი ობიექტის მრავლობითობა მარკირებული -ნ / -ენ სუფიქსებით) (<word index="7" content="იხილნა" lemma="იხილავს" gram="V.Aor.Ind.S3.Sg.O3.Pl" grc="ἑίδεν» arm=»ստես» eng=»to see» />), გ) პირთა სამიმართებო პრეფიქსები (ა-, ი-, უ-, ე-) (<word index="5" content="შემომიდეგით" lemma="შემოუდგების" gram="V.Imp2.AffImp.PREV (შემო-).S2.Pl.O1.Sg" grc="Δεῦτε ὀπίσω» eng=»to follow» />) (მელიქიშვილი 2014, 133-134).

მორფოლოგიური ანოტირების პრინციპების შემუშავებისას მიმღეობის კატეგორიის განსაზღვრისას ამოსავლად ავიღეთ მისი ფუნქცია კონტექსტის მიხედვით. შესაბამისად, იგი ანოტირებულია ან როგორც მიმღეობა, ან ზედსართავი, ან არსებითი სახელი. მაგალითად, მ. 21.2-ში („და მეყსეულად ჰპოოთ ვირი დაბმული და კიცვ მის თანა“) „დაბმული“ ცალსახად მიმღეობაა და ანოტირებულია, როგორც მიმღეობა (<word

11 იმ მიზნიდან გამომდინარე, რომ ანოტირებული მათეს სახარება შემდგომი ფილოლოგიური კვლევისთვის არის განკუთვნილი, რესურსი არ არის ზუსტად იმავე პრინციპებით ანოტირებული, რომლებიც ენის კომპიუტერული დამუშავებისთვის არის შემუშავებული. ჩვენი მიზნის მისაღწევად აუცილებელი არ იყო ზმნებისთვის ყველა კატეგორიის მითითება.

index=»14« content=»დაბმული« lemma=»დაბმულ« gram=»PART.Past.Nom.Sg« grc=»δεδεμῆσθαι« arm=»կսսսսսս« eng=»to tie« />). მ. 13.22-ში („და საცთურმან სიმდიდრისამან შეაშთვის სიტყუად იგი“), „საცთურმან“ წარმოშობით მიმღეობაა, თუმცა კონტექსტში არსებითი სახელის ფუნქციით არის გამოყენებული და, შესაბამისად, ანოტირებულია, როგორც არსებითი სახელი (<word index=»16“ content=»საცთურმან“ lemma=»საცთურ“ gram=»N.Erg.Sg“ grc=»ἡ ἀπάτη« arm=»սսսսսսս« eng=»deceit« />). ხოლო მ. 1.18-ში („და ვიდრე შერთვადმდე მათა იპოვა იგი მიდგომილ სულისაგან წმიდისა“) „მიდგომილ“ ზედსართავი სახელის ფუნქციით არის გამოყენებული და, შესაბამისად, ანოტირებულია, როგორც ზედსართავი სახელი (<word index=»18« content=»მიდგომილ“ lemma=»მიდგომილ“ gram=»ADJ.Abs.Sg« grc=»ἐν γαστρὶ ἔχουσα« arm=»յլսսსსს« eng=»pregnant« />).

ქვემოთ მოცემულია გრამატიკული მახასიათებლების ცხრილი (ცხრილი I), რომლის მიხედვითაც არის მათეს სახარება ანოტირებული.

ტეგი	ინგლისური დასახელება	ქართული დასახელება
N	Noun	არსებითი სახელი
Personal Name	Personal Name	ანთროპონიმი
Place Name	Place Name	ტოპონიმი
Abs	Absolutive	წრფელობითი
Nom	Nominative	სახელობითი
Erg	Ergative	მოთხრობითი
Dat	Dative	მიცემითი
Gen	Genitive	ნათესაობითი
Instr	Instrumental	მოქმედებითი
Adv	Adverbialis	ვითარებითი
Voc	Vocative	წოდებითი
DNom	Double declension Nominative	ნანათესაობითარი სახელობითი
DErg	Double declension Ergative	ნანათესაობითარი მოთხრობითი
DDat	Double declension Dative	ნანათესაობითარი მიცემითი
DGen	Double declension Genitive	ნანათესაობითარი ნათესაობითი
DInstr	Double declension Instrumental	ნანათესაობითარი მოქმედებითი
DAdv	Double declension Adverbialis	ნანათესაობითარი ვითარებითი
DVoc	Double declension Vocative	ნანათესაობითარი წოდებითი
DDNom	Triple declension Nominative	სამმაგი ნანათესაობითარი სახელობითი

DDerg	Triple declension Ergative	სამმაგი ნანათესაობითარი მოთხრობითი
DDDat	Triple declension Dative	სამმაგი ნანათესაობითარი მიცემითი
DDGen	Triple declension Genitive	სამმაგი ნანათესაობითარი ნათესაობითი
DDInst	Triple declension Instrumental	სამმაგი ნანათესაობითარი მოქმედებითი
DDAdvb	Triple declension Adverbialis	სამმაგი ნანათესაობითარი ვითარებითი
DDVoc	Triple declension Vocative	სამმაგი ნანათესაობითარი წოდებითი
ADJ	Adjective	ზედსართავი სახელი
Comp	Comparative	ოდნაობითი
Sup	Superlative	უფროობითი
	Number	რიცხვი
Sg	Singular	მხოლობითი რიცხვი
Pl 1	Plural 1	მრავლობითი რიცხვი, -ნ, -თ სუფიქსიანი
Pl 2	Plural 2	მრავლობითი რიცხვი, -ებ-იანი
Coll	Collective Noun	კრებითი არსებითი სახელი
NUM	Numeral	რიცხვითი სახელი
Card	Cardinal	რაოდენობითი რიცხვითი სახელი
Ord	Ordinal	რიგობითი რიცხვითი სახელი
Frac	Fraction	წილობითი რიცხვითი სახელი
Digits	Digits	ციფრი
Indef	Indefinite	განუსაზღვრელობითი
PRON	Pronoun	ნაცვალსახელი
Pers	Personal	პირის
Dem	Demonstrative	ჩვენებითი
Poss	Possessive	კუთვნილებითი
Int	Interrogative	კითხვითი
Poss-Int	Possessive-Interrogative	კითხვით-კუთვნილებითი
Rel	Relative	მიმართებითი
Def	Definite	განსაზღვრებითი
Indef	Indefinite	განუსაზღვრელობითი
Neg	Negative	უარყოფითი
Recip	Reciprocal	ურთიერთობითი (უკუქცევითი)

ART	Article	ნაწევარი/არტიკლი
PRT	particle	ნაწილაკი
CONJ	Conjunction	კავშირი
ADV	Adverb	ზმნიზედა
ITJ	Interjection	შორისდებული
PP	Postposition	თანდებული
INF	Infinitive	საწყისი
PART	Participle	მიმღობა
	Tense	დრო
Past	Past	წარსული
Fut	Future	მომავალი
V	Verb	ზმნა
	Tense	დრო
DescFut	Descriptive Future	აღწერითი მომავალი
	Screeves	მწკრივები
Pres	Present	აწმყო
PresIter	Iterative Present	აწმყოს ხოლმეობითი
Imperf	Imperfect	უწყვეტელი
Imp1	1st Imperative	პირველი ბრძანებითი
ImperfIter	Iterative Imperfect	უწყვეტლის ხოლმეობითი
Fut1	1st Future	პირველი კავშირებითი
Aor	Aorist	წყვეტილი
Imp2	2nd Imperative	მეორე ბრძანებითი
Iter2	2nd Iterative	მეორე ხოლმეობითი
Fut2	2nd Future	მეორე კავშირებითი
Perf	Perfect	პირველი თურმეობითი
Pluperf	Pluperfect	მეორე თურმეობითი
Iter3	3rd Iterative	მესამე ხოლმეობითი
Fut3	3rd Future	მესამე კავშირებითი
	Mood	კილო
Ind	Indicative	თხრობითი
AffImp	Affirmative imperative	წართქმითი ბრძანებითი
NegImp	Negative Imperative	უკუთქმითი ბრძანებითი
Conj	Conjunctive	კავშირებითი
	Person	პირი

S1	1st subjective person	I სუბიექტური პირი
S2	2nd subjective person	II სუბიექტური პირი
S3	3rd subjective person	III სუბიექტური პირი
O1	1st objective person	I ობიექტური პირი
O2	2nd objective person	II ობიექტური პირი
O3	3rd objective person	III ობიექტური პირი
	Voice	გვარი
Pass	Descriptive Passive	აღწერითი ვნებითი
Tmesis	Tmesis	ტმესი
PREV	Preverbs	ზმნისწინი
PREP	Preposition	წინდებული
INDEC	Indeclinable	უბრუნველი სიტყვა

ცხრილი I - გრამატიკული მახასიათებლების ცხრილი ქართული და ინგლისური შესატყვისებით

როგორც ზემოთ აღინიშნა, ანოტირების დროს თითოეულ სიტყვა-ფორმას ეთითება ბერძნული, სომხური და ინგლისური თარგმანი.

ბერძნული შესატყვისიდან გამომდინარე ზოგჯერ დეფისით შეერთება მოგვიწია ისეთი ფორმებისა, რომლებიც სხვადასხვა გამოცემაში ძირითადად უდეფისოდ არის დაწერილი. ასეთებია, მაგალითად, 1. აღწერითი ფორმით გამოხატული მყოფადი (მოსვლად-არს), 2. აღწერითი ვნებითის ფორმები (გაკეთებულ-იქნა), 3. მეშველი ზმნით ნაწარმოები მესამე სერიის ფორმები (ყოფილ-არს), 4. რთული ზმნები (გულისკმა-ყვეს). მათი ანოტირებისას ლემად მითითებულია შეერთებული, დეფისიანი ფორმები, სადაც მეშველი ზმნა მესამე პირის მხ. რიცხვის აწმყოს ფორმაში დგას, მორფოლოგიური მახასიათებლებიც მეშველი ზმნის შესაბამისად არის გატანილი (<word index="2" content="გულისკმა-ყო" lemma="გულისკმა-ჰყოფს" gram="V.Aor.Ind.S3.Sg" grc="γῠσις arm=>գիսսաց eng=>to come to know, learn, know" />).

ერთი ხელნაწერის ფარგლებშიც ხშირია ხოლმე ფონეტიკური შენაცვლებები ხმარებიდან გასული ძველი ქართული ასო-ბგერებისა, როგორებიც არის: ე/ჟ, ხ/ჟ, ი/ე. ასეთ დროს ამოსავალი ფორმა მითითებულია კონკრეტული შემთხვევის შესაბამისად.

რომ შევაჯამოთ, მათეს სახარების ანოტირების პრინციპების შემუშავების დროს შევეცადეთ, მხედველობაში მიგველო ძველ ქართულ ენაში შესაძლო ლინგვისტური კვლევის პერსპექტივები, რათა იმ საძიებო სისტემის მეშვეობით, რომლის შექმნაც მომავალში გვაქვს გადაწყვეტილი, ნებისმიერ დაინტერესებულ მკვლევარს გამზადებული ემპირიული მასალა მიეცეს.

დასკვნა და სამომავლო პერსპექტივები

მათეს სახარების ანოტირებული პარალელური ციფრული გამოცემით შეიქმნა პრეცედენტი თანამედროვე სტანდარტით ბიბლიური წიგნების ქართული თარგმანის გამოცემისა. როგორც აღინიშნა, პლატფორმა იმგვარად აიგო, რომ საშუალებას იძლევა, მსგავსი მოდელით ანოტირდეს და ციფრულად ხელმისაწვდომი გახდეს ახალი და ძველი აღთქმის სხვა წიგნებიც.

სამომავლოდ ვგეგმავთ ხელნაწერთა არეალის გაფართოებას ოთხთავის ქართული თარგმანის უფრო ადრეული ტექსტის ტიპების გათვალისწინებით. გრძელვადიან პერსპექტივაში პლატფორმაზე გაჩნდება როგორც დანარჩენი სახარებების (მარკოზი, ლუკა და იოანე), ასევე ახალი აღთქმის სხვა წიგნების ციფრული გამოცემები, რომლებიც ანოტირდება იმავე პრინციპით. გარდა ამისა, პლატფორმა ღიაა ძველი აღთქმის წიგნებზე მომუშავე ყველა დაინტერესებული მეცნიერისთვის, რომლებსაც სურთ, მათ მიერ მომზადებული ტექსტები მათივე ავტორობით ციფრულ გამოცემაში ინტეგრირდეს.

უკვე გვაქვს კონკრეტული გეგმა, მომავალში როგორ დავხვეწოთ და გავზარდოთ ანოტირების პლატფორმის შესაძლებლობები. ამ ეტაპზე ანოტირებული ტექსტის პარალელურ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი ბერძნული ტექსტის გამოჩენა. თუმცა სამომავლოდ შესაძლებელი გახდება, აიტვირთოს და პარალელურ სვეტში გამოჩნდეს სხვაენოვანი, აგრეთვე, სხვა ხელნაწერებიდან გადმოწერილი ქართული ტექსტები. გარდა ამისა, დაიხვეწება პლატფორმის ადმინისტრატორის ფუნქციები იმ მიზნით, რომ დავიცვათ უკვე ანოტირებული ტექსტები და მათზე მუშაობა შეძლონ მხოლოდ ავტორიზებულმა პირებმა. ასევე, იგეგმება მუშაობა ავტომატური ანოტირების მექანიზმების შექმნაზე, რათა უკვე ანოტირებული მასალის საფუძველზე პლატფორმამ ავტომატურად შეძლოს ატვირთული ტექსტის მორფოლოგიური ანოტირება; აგრეთვე საძიებო სისტემის შექმნა და პორტალის ინგლისურ ენაზე თარგმნა.

ანოტირებული XML-ების გარკვეული რაოდენობის საფუძველზე შეიქმნება TEI სქემა. ჩვენი მიზანია, დავაგროვოთ ახალი აღთქმის წიგნების ანოტირებული XML-ები, რათა მათი სტანდარტიზების შემდეგ, უფრო მასშტაბური პროექტის ფარგლებში, შესაძლებელი გახდეს TEI XML დოკუმენტების ხელახალი გამოყენება ახალ ციფრული გამოცემის ხელსაწყოში.

დამოწმებანი

- კვირკველია, ეკა. 2019. სახარების XI საუკუნის ქართული ხელნაწერების კოდიკოლოგიურტექსტოლოგიური ანალიზი და ოთხთავის გიორგი მთაწმინდლისეული რედაქციის ჩამოყალიბების ისტორია (დისერტაცია შესრულებულია ფილოლოგიის დოქტორის (Ph.D.) აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად). თბილისი <http://press.tsu.ge/data/image_db_innova/Eka%20Kvirkvelia.pdf> (14.02.2023).
- ლობჯანიძე, ირინა. 2021. ქართული ენის მორფოსინტაქსური ანოტირებისა და სასრული-პოზიციის მორფოლოგიური ანალიზის პრინციპები. თბილისი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.
- მელიქიშვილი, დამანა. 2014. ქართული ზმნის სისტემური მორფო-სინტაქსური ანალიზი. თბილისი: თსუ გამომცემლობა.
- . 2001. ქართული ზმნის უღლების სისტემა. თბილისი: ლოგოს პრესი.
- სარჯველაძე, ზურაბ, რედ. 2003. ადიშის ოთხთავი 897 წლისა, ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთეს ელგუჯა გიუნაშვილმა, დარეჯან თვალთვაძემ, მანანა მაჩხანელმა, ზურაბ სარჯველაძემ და სოფიო სარჯველაძემ. თბილისი: გამომცემლობა „საქართველოს მაცნე“.
- შანიძე, აკაკი. 1945. ქართული ოთხთავის ორი ძველი რედაქცია სამი შატბერდული ხელნაწერის მიხედვით (897, 936 და 973 წწ.). თბილისი: მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა.
- ჩიქობავა, არნოლდ. 1950-1964. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი. თბილისი: მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა.
- Aland, Barbara, Kirk Aland, Johannes Karavidapoulos, Carlo M. Martini, and Bruce M. Metzger, eds. 2023. *The Greek New Testament*, 4th revised edition. United Bible Societies.
- Cox, Claude. 1994. The Zohrab Bible. In *Studies in Classical Armenian Literature*, ed. John A. C. Greppin, 227-261. Delmar, New York: Caravan Books.
- ECM I.2/1, 2021. Strutwolf, Holger, Georg Gäbel, Annette Hüffmeier, Marie-Luise Lakmann, Gregory S. Paulson, and Klaus Wachtel, eds. *Editio critica maior: The Synoptic Gospels, Gospel of Mark: Part 1: Text*. Stuttgart: Deutsche Bibelgesellschaft.
- ECM I.2/2, 2021. Strutwolf, Holger, Georg Gäbel, Annette Hüffmeier, Marie-Luise Lakmann, Gregory S. Paulson, and Klaus Wachtel, eds., eds. *Editio critica maior: The Synoptic Gospels, Gospel of Mark: Part 2: Supplementary Material*. Stuttgart: Deutsche Bibelgesellschaft.
- ECM I.2/3, 2021. Strutwolf, Holger, Georg Gäbel, Annette Hüffmeier, Marie-Lu-

- ise Lakmann, Gregory S. Paulson, and Klaus Wachtel, eds. *Editio critica maior: The Synoptic Gospels, Gospel of Mark: Part 3: Studies*. Stuttgart: Deutsche Bibelgesellschaft.
- ECM III/1.1, 2017. Strutwolf, Holger, Georg Gäbel, Annette Hüffmeier, Gerd Mink, and Klaus Wachtel, eds. *Novum Testamentum Graecum. Editio Critica Maior III: Acts of the Apostles: Part 1.1: Text Chapter 1-14*. Stuttgart: Deutsche Bibelgesellschaft.
- ECM III/1.2, 2017. Strutwolf, Holger, Georg Gäbel, Annette Hüffmeier, Gerd Mink, and Klaus Wachtel, eds. *Novum Testamentum Graecum. Editio Critica Maior III: Acts of the Apostles: Part 1.2: Text Chapter 15-28*. Stuttgart: Deutsche Bibelgesellschaft.
- ECM III/2, 2017. Strutwolf, Holger, Georg Gäbel, Annette Hüffmeier, Gerd Mink, and Klaus Wachtel, eds. *Novum Testamentum Graecum. Editio Critica Maior III: Acts of the Apostles: Part 2: Supplementary Material*. Stuttgart: Deutsche Bibelgesellschaft.
- ECM III/3, 2017. Strutwolf, Holger, Georg Gäbel, Annette Hüffmeier, Gerd Mink, and Klaus Wachtel, eds. *Novum Testamentum Graecum. Editio Critica Maior III: Acts of the Apostles: Part 3: Studies*, Stuttgart: Deutsche Bibelgesellschaft.
- Foundation Publications and Lockman Foundation (La Habra Calif). 2020. *Nasb: New American Standard Bible*. Giant Print Bible, ed. Anaheim Calif. Foundation Publications publisher for the Lockman Foundation.
- Gippert, Jost, Bernard Outtier and Sergey Kim. 2022. *Catalogue of the Georgian Manuscripts*. In cooperation with Ketevan Asatiani, Manana Dolakidze, Lali Jghamaia, Maia Karanadze, Mikheil Kavtaria, Lili Khevsuriani, Lia Kiknadze, Tinatin Tseradze, Tsitsino Guledani, Tinatin Jikurashvili, Eka Kvirkevelia, Giorgi Lomsadze, Sopio Sarjveladze, Mzekala Shanidze, Darejan Tvaltadze, and Georgios Boudalis. Mount Athos: Holy Monastery of Iviron.
- Gippert, Jost. 2016. Complex Morphology and its Impact on Lexicology: the Kartvelian Case. In *Lexicography and Linguistic Diversity. Proceedings of the XVII EURALEX International Congress*, 6-10 September, 2016, eds. Tinatin Margalitadze and George Meladze, 16-26. Tbilisi: Tbilisi University Press.
- Lobzhanidze, Irina. 2019. Computational Model of the Modern Georgian Language and Search Patterns for an Online Dictionary of Idioms. In *Language, Logic, and Computation. TbiLLC 2018. Lecture Notes in Computer Science*, vol. 11456, eds. Alexandra Silva, Sam Staton, Peter Sutton, and Carla Umbach, 187-208. Springer, Berlin, Heidelberg. https://doi.org/10.1007/978-3-662-59565-7_10

- , 2022. Georgian Medieval Manuscripts and the Digital Edition of the Typicon of the Georgian Monastery of the Holy Cross Near Jerusalem. *Bulletine of the Georgian National Academy of Sciences*, vol. 14, no. 4: 97-102. <https://doi.org/10.5281/zenodo.6531134>.
- Robinson, Maurice A. and William G. Pierpont, eds. 2005. *The New Testament in the Original Greek: Byzantine Textform*. Southborough, MA: Chilton Book Publishing.
- The King James Version of the Bible. 2022. La Vergne: Dreamscape Media.
- Wasserman, Tommy and Peter J. Gurry. 2017. *A New Approach to Textual Criticism, An Introduction to the Coherence-Based Genealogical Method*. Atlanta: SBL Press. Stuttgart: Deutsche Bibelgesellschaft.

ელექტრონული რესურსები

- ქართული ენის კორპუსი. 2009-2016 <<http://corpora.iliauni.edu.ge/about>> (26.01.2023).
- ქართული ოთხთავი. 2013-2020. ქართული ოთხთავი: ლუკა და იოანე, გამოცემული დარეჯან თვალთვადის, ელგუჯა გიონაშვილის, სოფიო სარჯველაძის, თინათინ ჯიქურაშვილისა და ეკა კვიციანის (მხოლოდ ლუკას სახარება) მიერ <<https://ogg.tsu.ge/>>.
- ქვევ (ქართული ენის ეროვნული კორპუსი). 2011-2023 <<http://gnc.gov.ge/gnc/page>> (26.01.2023).
- Annotation Tool. 2023. An Annotated Parallel Digital Edition of the Gospel of Matthew <<http://ogb.iliauni.edu.ge/>> (24.01.2023).
- Armenian Bible. 2023 <<https://arak29.org/bible/book/>> (23.01.2023).
- BibleWorks 10. 2015 (Version 10.0.4.114).
- ECM (Editio Critica Maior). 2017-21 <<https://ntvmr.uni-muenster.de/ecm>> (24.01.2023).
- IIIF (International Image Interoperability Framework). 2023 <<https://iiif.io/>> (07.02.2023).
- Kata Biblon. 2007-2023 <<https://en.katabiblon.com/us/index.php?text=GNT>> (23.01.2023).
- Library of Congress. Ivir. georg. 62 <<https://www.loc.gov/resource/amedmonastery.00271050331-ma/?st=gallery>> (07.02.2023). Manuscript Clusters. 2011 <http://intf.uni-muenster.de/TT_PP/> (24.01.2023).
- Mirador. 2023 <<https://projectmirador.org/>> (14.02.2023).
- NTVMR. 2019. New Testament Virtual Manuscript Room <<https://ntvmr.uni-muenster.de/home>> (24.01.2023).
- TEI (Text Encoding Initiative) <<https://tei-c.org/>> (23.01.2023).
- The Gospel Manuscript. Ivir. georg. 62. 2023

<https://projectmirador.org/embed/?iiif-content=https://gist.githubusercontent.com/Tamarae/72f3c8b05390a4d2f3801447b6be9a0f/raw/b783de739fb925886e4cf718a737a8a68a6928b0/manifest_cong.json> (14.02.2023).

The New Testament in the Original Greek: Byzantine text type. 2023. The New Testament in the Original Greek: Byzantine text type, the official GitHub home of Dr. Maurice A. Robinson's Greek texts with variants, morphological parsing, and Strong's numbers <<https://github.com/byztxt/byzantine-majority-text>> (26.01.2023).

The Open Source Native XML Database. 2018 <<http://exist-db.org/>> (14.02.2023).

TITUS. 2023. Thesaurus Indogermanischer Text- und Sprachmaterialien <<https://titus.uni-frankfurt.de>> (23.01.2023).

WCO (Wardrops' Collection Online). 2019-2020 <<http://manuscript.iliauni.edu.ge>> (07.02.2023).

Eka Kvirkvelia
Centre for the Study of Manuscript Cultures
Hamburg University, Germany
eka.kvirkvelia@uni-hamburg.de

Tamar Kalkhitashvili
The Institute of Linguistic Studies, Ilia State University, Georgia

An Annotated Parallel Digital Edition of the Gospel of Matthew*

Keywords: TEI, annotation platform, Georgian manuscripts, the Four Gospels

Translating of the New Testament and biblical texts into Georgian is believed to have begun as early as the 4th to 5th centuries. Today, there are over 300 manuscripts and fragments containing the Gospel, preserved both in Georgia and abroad. These Gospel manuscripts underwent corrections over time in various literary schools, often influenced by the Greek or, in some cases, Armenian text traditions (Sarjveladze 2003, 15-71). As a result, the manuscripts of the Four Gospels that have reached us present non-homogeneous, diverse texts. Through over a century of research, it has been determined that the translating and editing of the Georgian Four Gospels is related to three stages: The *Pre-Athonite* period – 5th-10th centuries (Adishi, Opiza (the same Jrutchi-Parkali) and mixed text types); the *Athonite* period – 10th-11th centuries (Euthymius the Athonite's (955-1028) text type and George the Athonite's (1009-1065) recension); and the *Hellenophile* period (12th century).

The need for scientific study of each Gospel manuscript for the reconstruction of the text's historical development was emphasized in 1945 by Akaki Shanidze, who initiated the scientific study of the Georgian translation:

* The article presents the principal findings of the project titled “*Digital edition of an annotated parallel corpus of George the Athonite's recension of the Gospel of Matthew*” (YS-21-1562), which received funding from the Shota Rustaveli National Science Foundation of Georgia for young scientists. The project was carried out in 2021-2023 at the technical base of the Institute of Linguistic Studies, Ilia State University, under the guidance of Prof. Nino Doborjginidze, and by consulting TSU Prof. Darejan Tvaltvaдзе. The technical group (Temur Chichua, Ana Gvelesiani and Giorgi Kvaratskhelia) was led by the researcher of the Ilia State University, Ph.D. Tamar Kalkhitashvili.

As soon as the old manuscripts are comprehensively studied and the critically established texts are properly published, light will be shed on the history of the translation and its pathway, including on the special significance of the Georgian versions in the development, dissemination, and filiation of the Four Gospels texts. (Shanidze 1945, 07)

